12/11/2019

გალობის უნივერსიტეტის სტუმრობა შემოქმედის ეპარქიაში

ა.წ. 8-9 ნოემბერს გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი შემოქმედის ეპარქიას სტუმრობდა.

8 ნოემბერს, ერკეთის დედათა მონასტერში უნივერსიტეტის რექტორმა, არქიმანდრიტმა იოანემ (კიკვაძე) პარაკლისი გადაიხადა, შემდეგ კი ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონცერტო დარბაზში შედგა გალობის უნივერსიტეტის გუნდის კონცერტი.

9 ნოემბერს შემოქმედის მონასტერში წირვა აღავლინა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოს საბასთან (ინწკირველი) და ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად.

წირვაზე შემოქმედის სკოლის საგალობლები მგალობელ-მომღერალთა ანსამბლმა

“შემოქმედმა” და გალობის უნივერსიტეტის გუნდმა შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით (დამფუძნებლები: ივანე ჩხარტიშვილი, ნანა გოთუა) აქტიური საკონცერტო მოღვაწეობით გამოირჩევა.

2016 წელს გუნდი მონაწილეობდა საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში „Parbeg laivelis“ (კლაიპედა, ლიტვა); ამავე წელს, ტრადიციული მრავალხმიანობის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმში (თბილისი, საქართველო); 2017 წელს ფესტივალში „Les Buskers de Neuchâtel“ (ნოშატელი, შვეიცარია); 2018 წლის ოქტომბერში მეათე „საერთაშორისო ხელოვნების დღეებში“ (ტრაპიზონი, თურქეთი); 2019 წელს მესამე „სააღდგომო ფესტივალში“ (მინსკი, ბელარუსი).

გალობის უნივერსიტეტისა და ნოტრ დამის უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის იანვარში გალობის უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა ნოტრ დამის უნივერსიტეტში (აშშ) სოლო კონცერტი გამართა.

2018 და 2019 წელს გუნდი საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის გრან პრის (გალობა/სიმღერის კატეგორია) და ოქროს მედლის (გალობა/სიმღერის კატეგორია) მფლობელი გახდა.

ახალგაზრდები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა რეგიონში ჩატარებულ

patriarchate.ge